ახალი განთიადი

„ბედნიერია ის, ვისაც
სამშობლოსათვის უძველეს გულია,,

15 - 27 ნოემბერი 2013 წელი №21 № 8055 ელფოსტა : axaligantiadi@gmail.com.

,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამა,, ზემო ხანდაკში გვ2.

ყველა-ყველმოვლილ ეპისკოპოსი ეპისკოპოსი ყოფილიყვნ გვ2.

დევნილთა რეგისტრაცია გვ2.

,,ცოდეს ვშობილიყვნ, გავზრდილიყვნ,, გვ4.

ჩვენ ვსწავლობთ სოფლის ისტორიას გვ3.

ეუფსათი

ნასოფლარის ისტორიისათვის გვ6.

“შემოდგომის ზეიმი”– ნახევრად ცარიელ დარბაზში გვ4.

მოსწავლეთა სპარტაკიადა 2013-2014 წელი გვ5.

ცოცხავ ლოვბო ყვავილო ენაში ქართველებნ შეგვილეს გვ6.

ქართველთა და უკრაინელთა მეგობრობის დღესასწაული გვ5.

* “ნეტარ ალუვნენ წმილანი გულითა” გვ7.

80 წელი თქვენს გვერდით

გამოიწერეთ ,,ახალი განთიადი,,!

კასპი-სამთავისის ეპარქიის ეპისკოპოსის კურთხევა

3 ნოემბერს, ქალაქ მცხეთაში სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის ეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ კასპი-სამთავისის ეპარქიის ეპისკოპოსად ქვათახევის წინამძღვარი მღვდელი დამიანე (ხუფენია) აკურთხა. იღუმენი დამიანე ხუფენია ბოლო წლებში გორის სამეუფეო რეზიდენციაში მსახურობდა.

11 ოქტომბრის სინოდის სხდომის გადაწყვეტილებით, ეპარქიებში რეორგანიზაცია განხორციელდა, რის შედეგადაც 4 ეპარქია გაიყო. სამთავისისა და გორის ეპარქიის გაყოფის შედეგად სამთავისისა და კასპის, გორისა და ატენის ეპარქიები ჩამოყალიბდა.

სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში კურთხევის შემდეგ, უფლისწულ გიორგი დავითისა და ანას ძე ბაგრატიონ-ბაგრატიონის ნათლობა გაიმართა. დავით ბაგრატიონ-მუხრანელმა და ანა ბაგრატიონ-გრუზინსკაიამ 2009 წლის 8 თებერვალს, თბილისში, სამების საკათედრო ტაძარში დაიწერეს ჯვარი. 2011 წლის 27 სექტემბერს, ჯვართამაღლების დღესასწაულზე, დავით ბაგრატიონ-მუხრანბატონიშვილისა და ანა ბაგრატიონ-გრუზინსკის ოჯახში დაიბადა ვაჟი, რომელსაც გიორგი უწოდეს. ორივე მშობელმა ბავშვს თავისი გვარი - ბაგრატიონი უბოძა, აქედან გამომდინარე, პატარა გიორგი გვარად ბაგრატიონ-ბაგრატიონია.

საქართველოს პატრიარქმა ბაგრატიონების შთამომავლის ნათლობას ისტორიული აქტი უწოდა. "დღეს სვეტიცხოველში შესრულდა ორი ისტორიული აქტი, ეკურთხა მღვდელმთავარი, ყოველი მღვდელმთავრის კურთხევა ეს არის ისტორიული მოვლენა, და დღესვე უფლისწული გიორგი მოინათლა ამ წმინდა ტაძარში, სადაც განსვენებული არიან მისი წინაპრები," განაცხადა ილია მეორემ.

სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში კასპი-სამთავისის ეპარქიის ეპისკოპოსის კურთხევას ესწრებოდნენ კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი გოჩა გოჩიტაშვილი და კასპელი მრევლი.

დალი კორკომაშვილი.

კასპი-სამთავისის ეპარქიის ეპისკოპოსის წარდგენა

4 ნოემბერს, კასპის წმინდა მეფე ვახტანგ გორგასალის სახელობის საკათედრო ტაძარში, გორისა და ატენის მიტროპოლიტმა ანდრეამ (გვაზავა) მრევლს კასპი - სამთავისის ეპარქიის ეპისკოპოსი დამიანე (ხუფენია) წარუდგინა.

- ამ დიდებულ ტაძარში დღევანდელი დღე დღესასწაულია, მეუფე ანდრიამ მრევლს წარუდგინა კასპი-სამთავისის ეპისკოპოსი დამიანე. ორივე მეუფე აფხაზეთიდანაა და ყოველთვის ქვეყნის სამსახურში იდგნენ, ასე აგრძელებენ დღემდე – აღნიშნა ბოდბელმა ეპისკოპოსმა იაკობმა და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის ეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ლოცვა-კურთხევა და მოლოცვა გადასცა.

ეპისკოპოსმა დამიანემ (ხუფენია) უწმინდესსა და უნეტარესს ილია მეორეს, სინოდს და მეუფე ანდრიას მადლობა გადაუხადა ნდობისათვის.

დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.

დევნილთა რეგისტრაცია

ქალაქ კასპის ტერიტორიული ორგანოს შენობაში, კასპში მცხოვრები ყველა სტატუსის მქონე დევნილთა რეგისტრაცია მიმდინარეობდა. რეგისტრაცია 2 ნოემბერს დაიწყო და 7 ნოემბერს დასრულდა.

რეგისტრაციას ახორციელებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მუშა ჯგუფი. რეგისტრაცია უკვე გაიარა 667 ადამიანმა. დევნილთა რეგისტრაციის მიზანს წარმოადგენს დევნილი მოსახლეობის და მათი ოჯახების შესახებ განახლებული ინფორმაციისა და პროფილის ხელმისაწვდომობა. მონაცემები გამოყენებული იქნება ოჯახებისა და ინდივიდუალურ პირთა განსაზღვრისათვის, რათა მოხდეს მათი სპეციფიკური საჭიროებების განხილვა და მათთვის შესაძლო გრძელვადიანი გადაწყვეტილებების იდენტიფიცირება. საქართველოს ტერიტორიაზე რეგისტრაცია 1 აგვისტოს დაიწყო და 27 დეკემბერს დასრულდება, რაც სამინისტროს უზრუნველყოფს მონაცემთა ბაზის მაქსიმალურ სრულყოფას.

დევნილთა რეგისტრაციას არეგულირებს "საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა შესახებ" საქართველოს კანონი და "იძულებით გადაადგილებულ პირად-დევნილად ცნობის, დევნილთა სტატუსის მინიჭების და დევნილთა რეგისტრაციის წესის, იძულებით გადაადგილებული პირის-დევნილის მოწმობის ფორმის, მოწმობის შესახებ დებულებისა და ანკეტის ფორმის დამტკიცების თაობაზე".

დევნილის მოწმობა გაიცემა 1 ნოემბრიდან ლიბერთი ბანკის შესაბამის რაიონულ ფილიალში, სადაც დევნილია დარეგისტრირებული.

რეგისტრაციის დასრულების შემდეგ, დამატებითი კომისია, თბილისსა და ზუგდიდში მუშაობას გააგრძელებს წლის ბოლომდე იმ დევნილებისათვის, ვინც ვერ მოასწრო გრაფიკით მოცემულ ვადებში რეგისტრაციის გავლა.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ცხელი **(032) 2431100.**

"სოფლის მხარდაჭერის პროგრამა" ზემო ხანდაკში

"სოფლის მხარდაჭერი-ს პროგრამის" ფარგლებში, სოფელ ზემო ხანდაკის ტერიტორიულმა ორგანომ 2013 წელს 46 805 ლარი მიიღო. მოსახლეობამ სოფლის კრებაზე 5 პროექტის განხორციელება დაგეგმა, მათ შორის 3 ზემო ხანდაკში, თითო პროექტი კი ჭყოპიანსა და კალოუბანში.

უკვე დასრულებულია მგზავრთა მოსაცდელების აშენება (საქმიანი ეზო "თაზო"), რომელმაც მგზავრთა კომფორტულ მომსახურებას შეუწყო ხელი. საბავშვო ბაღისათვის შეძენილია 5 დასახელების ატრაქციონი, გასართობი საშუალებების მონტაჟმა პატარა აღსაზრდელები ძალიან გაახარა და დღის განმავლობაში მხიარულად ერთობიან საბავშვო ბაღის ეზოში (შ.პ.ს. "ნამი").

სოფელმა წლების წინ ააშენა წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია და მისი ეზო დღემდე შემოსაღობი იყო. უკვე მიმდინარეობს ეკლესიის ეზოს რიყის ქვით შემოღობვის სამუშაოები (ი.მ. "ნოდარ ჩხარტიშვილი").

სოფელ კალოუბანში მარტივი ტიპის საფეხბურთო მოედანი მოეწყო.

არსებული მოედნის ტერიტორია შემოიღობა მავთულბადით და შეიღება ლითონის კონსტრუქციები (შ.პ.ს. "მშენებელი 2013"). სოფლის ბავშვებს

დასასრული მე-7 გვ.

საქართველომ მეოთხე პრეზიდენტი აირჩია

2013 წლის 27 ოქტომბერს ქართველმა ხალხმა გამოხატა თავისი პოლიტიკური ნება და კონკურენტუნარიან საპრეზიდენტო არჩევნებში დააფიქსირა საკუთარი პოზიცია – გააკეთა არჩევანი, დიახ, საქართველოს ჰყავს ახალი, რიგით მეოთხე პრეზიდენტი - გიორგი მარგველაშვილი.

– "მთელ მსოფლიოს ვაჩვენეთ, რომ საქართველომ აირჩია დასავლური ცივილიზაციის გზა, გამართლდა ქართველი ხალხის მოლოდინი, – განაცხადა თავის ერთ-ერთ სატელევიზიო გამოსვლაში საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა, – გარდაუვალი იყო ჩვენი გამარჯვება, ქართველი ხალხი ყველაფერს საუკეთესოს იმსახურებს. მჯერა, რომ ჩვენ ყველანი ერთად ავაშენებთ ბედნიერ სახელმწიფოს, ისეთს, როგორზეც ოცნებობდნენ ჩვენი წინაპრები, ილია, ვაჟა"...

ახლა კი, წარმოგიდგენთ კასპის №30 საარჩევნო ოლქში დაფიქსირებულ არჩევნების შედეგებს:

გიორგი მარგველაშვილი – 12.274 ხმა, 67,73 პროცენტი,
დავით ბაქრაძე – 2.816 ხმა, 15,54 პროცენტი,
ნინო ბურჯანაძე – 1.697 ხმა, 9,36 პროცენტი,
შალვა ნათელაშვილი – 730 ხმა, 4,03 პროცენტი,
კობა დავითაშვილი – 229 ხმა, 1,26 პროცენტი,
გიორგი თარგამაძე – 161 ხმა, 1,26 პროცენტი,
თამაზ ბიბილური – 5 ხმა, 0,03 პროცენტი,
გიორგი ლილუაშვილი – 17 ხმა, 0,09 პროცენტი,
სერგო ჯავახიძე – 30 ხმა, 0,17 პროცენტი,
აკაკი ასათიანი – 15 ხმა, 0,08 პროცენტი,
ნინო ჭანიშვილი – 22 ხმა, 0,12 პროცენტი,
თეიმურაზ ბობოხიძე – 8 ხმა, 0,04 პროცენტი,
ლევან ჩაჩუა – 27 ხმა, 0,15 პროცენტი,
ნესტან კირთაძე – 4 ხმა, 0,02 პროცენტი,
გიორგი ჩიხლაძე – 6 ხმა, 0,03 პროცენტი,
ზურაბ ხარატიშვილი – 20 ხმა, 0,11 პროცენტი,
მიხეილ სალუაშვილი – 8 ხმა, 0, 04 პროცენტი,
ქართლოს ღარიბაშვილი – 5 ხმა, 0,03 პროცენტი,
მამუკა ჭოხონელიძე – 3 ხმა, 0,02 პროცენტი,
ავთანდილ მარგიანი – 7 ხმა, 0,04 პროცენტი,
ნუგზარ ავალიანი – 1 ხმა, 0,01 პროცენტი,
მამუკა მელიქიშვილი – 21 ხმა, 0,13 პროცენტი,
თეიმურაზ მჟავია – 13 ხმა, 0,07 პროცენტი.

საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობდა 23 კანდიდატი. კასპის №30 საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ნანა ნონიაშვილის განმარტებით ჩვენს რაიონში არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 18 ათას 410 ამომრჩეველმა, ამდენად, ამომრჩეველთა აქტივობამ შეადგინა 45,43 პროცენტი.

17 ნოემბერს, კვირას, თბილისში გაიმართება პრეზიდენტის ინაუგურაცია.

რუსუდან ხეჩუაშვილი.

ლამისყანა ქართულ პოეზიაში

ჩვენ ვსწავლობთ სოფლის ისტორიას

ლამისყანის ჯამბაკურ-ორბელიანთა სასახლე-მუზეუმში ხორციელდება პროექტი "ჩვენ ვსწავლობთ სოფლის ისტორიას". ამ პროექტის ფარგლებში ლამისყანის საჯარო სკოლის მოსწავლეთა მონაწილეობით მომზადდა ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია "ლამისყანა ქართულ პოეზიაში".

მოგეხსენებათ, ლამისყანა ქსნის ხეობაში მდებარეობს. ამ ხეობამ 2400 წლის წინ გადამწყვეტი როლი შეასრულა აღმოსავლეთ საქართველოს სახელმწიფოებრივ გაერთიანებაში. ქსანზე მომხდარი ყოველი ბრძოლა ქართლის ხელში ჩასაგდებად წარმოებული ბრძოლა იყო.

" ... მხოლოდ წარსულის ცოდნით დაუცავს ყოველს ერს თავისი ვინაობა" – ბრძანებს ილია ჭავჭავაძე.

წარსულის ცოდნა მითუმეტეს მოგვეთხოვება დღეს, ქსნის სათავეებისაკენ მიმავალი გზა გადაკეტილი რომ გვაქვს; მაშინ როცა, ლამისყანაში მცხოვრები გვარების დიდი ნაწილი ახალგორის მთიდანაა ჩამოსახლებული. იქ, ახალგორის ულამაზეს მთებში ჩვენი სიწმინდეები, ჩვენი სალოცავებია; ჩვენი დიდი პაპების ძვლებიც იქ განისვენებს.

მდიდარი ქართული პოეზია ფასდაუდებელ როლს ასრულებს წარსულის გაცოცხლების საქმეში. ყოველი ამბავი, რაც კი თავს გადახდა ჩვენს სამშობლოს, ხალხური მთქმელებისა და პოეტების შთაგონების წყარო გახდა. ქსანმა და ლამისყანამ ერთად დაიმკვიდრეს ადგილი ქართულ პოეზიაში. მათ ისტორიას ჩვენც პოეტების ენით მოგითხრობთ, – მიმართა დამსწრე საზოგადოებას ღონისძიების წამყვანმა XII კლასის მოსწავლემ ოლიკო რაზმაძემ. იგი მესამეკლასელმა მალხაზ მასიკაშვილმა შეცვალა:

"თუ სამოთხე არ გინახავს,
ნახე ჩემი ლამისყანა,
თუ სოფელი გინდა გქონდეს,
უნდა იყოს ამისთანა".

ტარიელ ზოზრაშვილის ამ ლექსით მან თავიდანვე მიიქცია ყურადღება.

ქსნის ხეობელი პოეტის ვიტალი ქენქაძის ლექსი "ქსანი" წაიკითხეს მეხუთე კლასის მოსწავლეებმა ქეთევან გიგაურმა, მარიამ ბენაშვილმა და მარიამ ონიაშვილმა.

ლექსებს სიმღერები ჩაენაცვლა. ძმების გურამ და გიგა ბენაშვილების ნამღერი "აქეთ მთები," "არხოტო," მათთან ერთად, ავთანდილ ბენაშვილისა და ანი ფავლენიშვილის მიერ ფანდურსა და სალამურზე შესრულებული "მწყემსური" დიდხანს ემახსოვრება მსმენელს.

მალხაზ მასიკაშვილმა, დავით ბენაშვილმა (IV კლ.), დემეტრე რაზმაძემ (V კლ.), გიგა ბენაშვილმა (VIII კლ.), დავით თვაურმა (IX კლ.), ბექა მასიკაშ-

ვილმა (IX კლ.) და გურამ ბენაშვილმა (X კლ.) საუკუნეები გააცოცხლეს ვ. ქენქაძის ლექსით "ქსანი მეძახის". ჟრუანტელის მომგვრელი იყო ამ მოსწავლეების მიერ ქარჩოხის მქუხარე ომის, ლამისყანიდან დავით გურამიშვილის გატაცების, ლარგვისში მცხეთის განძის გახიზვნის, სამების ტაძრის ოქროს კარის გატაცების, ქეთევან წამებულის თუ ბანდაისძეთა ამბების თხრობა.

ანა კალანდაძის ლექსი "თქვი, არჯაკელო ხვიარა" წაიკითხეს მალხაზ მასიკაშვილმა და დემეტრე რაზმაძემ.

სამშობლოსათვის თავდადებული სამი მოწამის – ქსნის ხეობის მფარველი წმინდანების შალვა და ელიზბარ ერისთავებისა და ბიძინა ჩოლოყაშვილის ნათელ ხსოვნას უძღვნა ანა კალანდაძემ ლექსი "ქსნის ძველ ციხეზე გუგუნებს ქარი." შთამბეჭდავი იყო ნინო ბენაშვილის (VI კლ.), თინათინ ბერიანიძის (X კლ.), ნატა ხოკრიშვილის (X კლ.) და ანი ფავლენიშვილის (XII კლ.) მიერ წაკითხული ეს ლექსი.

ლამისყანის ისტორიასთან მჭიდროდ დაკავშირებული პოეტის დავით გურამიშვილის თავგადასავალი XX საუკუნეში არაერთი ქართველი შემოქმედის შთაგონების წყარო გახდა. სიმონ ჩიქოვანის "სიმღერა დავით გურამიშვილზე" და ანა კალანდაძის "დავით გურამიშვილს" გაახმოვანეს მარიამ ონიაშვილმა, დავით ბენაშვილმა, დალი ცუცუნაშვილმა (VII კლ.), ჯულიეტა ხოკრიშვილმა (XII კლ.), ნატა ხოკრიშვილმა, ანი ფავლენიშვილმა და თინათინ ბერიანიძემ (IX კლ.).

ღონისძიების წამყვანის ოლიკო რაზმაძის საინტერესო ჩართვების შემდეგ, მოსწავლეები ქსნის ხეობასა და ლამისყანასთან დაკავშირებულ ისტორიულ თავგადასავლებს ქრონოლოგიური თანმიმდევრობით პოეტების ენით აცოცხლებდნენ. ნიკოლოზ ბარათაშვილის პოემით "ბედი ქართლისა" მათ მეფე ერეკლე მეორის გადახდილი ომები და კრწანისის მარცხი გაიხსენეს. ლამისყანაში დაბანაკებული იოანე ბატონიშვილის რვაას მეომრიანი რაზმით აღა მაჰმად ხანის მარბიელი ლაშქრის უკუქცევის თხრობით თავი მოიწონეს; არც მსაჯული სოლომონ ლიონიძე დავიწყებიათ, რომელსაც ლამისყანაში სახლი ედგა.

ჯამბაკურ-ორბელიანთა ციხე-სასახლის ისტორიის გაცნობისას კი მოსწავლეებმა რომანტიკოსი პოეტის ვახტანგ ჯამბაკურ-ორბელიანის (რომლის ქალიშვილი მარიამი ამ სასახლის ბოლო დიასახლისი გახლდათ) პოეზია გაახმოვანეს. მისი ლექსები: "იმედი", "ჯვარი ვაზისა", "პოეტს", "დიდის კარის წინ" წაიკითხეს დალი ცუცუნაშვილმა, მარიამ ბენაშვილმა, გიგა ბენაშვილმა, ავთანდილ ბენაშვილმა (VI კლ.), დემეტრე რაზმაძემ, დავით ბენაშვილმა და თემურ გოგიაშვილმა (V კლ.).

ლამისყანური მეტყველებისათვის დამახასიათებელი სიტყვა "ინდე" პოეტმა ანა კალანდაძემ ქართული პოეზიის კუთვნილება გახადა. ლექსი "ინდე, ვარსკვლავი რომ აკიაფდა" წაიკითხეს ბექა მასიკაშვილმა და დავით თვაურმა.

XX საუკუნის 50-იანი წლების სოფლის კულტურული ცხოვრება, ეგრეთწოდებული "ლხინი", როგორც მაშინ ეძახდნენ ლამისყანაში, მოსწავლეებმა ცეკვა-სიმღერით განასახიერეს. გოგონების მიერ შესრულებულმა ცეკვამ "ქალთა მთიულური", დავით თვაურისა და ნინო ბენაშვილის ჩამოვლილმა "ცანგალა და გოგონამ ", მალხაზ მასიკაშვილისა და დემეტრე რაზმაძის მიერ ინსცენირებულმა ჭიდაობამ მაყურებელთა მოწონება დაიმსახურა.

1976-1992 წლებში ლამისყანაში დიდი ზეიმით აღინიშნებოდა სახალხო დღესასწაული "გურამიშვილობა".

საგაზეთო სტატიებითა და ფოტომასალით შემონახული ის დღეებიც პოეზიით გააცოცხლეს ღონისძიების მონაწილეებმა.

ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია "ლამისყანა ქართულ პოეზიაში" ლამისყანელმა მოსწავლეებმა ქარჩოხელი ვიტალი ქენქაძისა და ლამისყანელი ტარიელ ზოზრაშვილის ლექსებით დაასრულეს.

სოფიო ცუცუნაშვილი -ფავლენიშვილი.

„სადაც ვშობილოვართ, გავზრდილოვართ“

აზერბაიჯანელებით დასახლებულ სოფელ ფერმაში 2005 წელს გაიხსნა საბავშვო ბაღი და იმავე სასწავლო წელს ფერმის საბაზო სკოლას შეეტყო კიდეც. საქმე ის გახლავთ, რომ მანამდე ფერმელები და, რაღა თქმა უნდა, უფროსი ასაკის მოსწავლეები ენობრივი ბარიერის გამო ძალიან ძნელად ახერხებდნენ ქართველ მოსახლეობასთან ურთიერთობას. ამიტომაც იყო, რომ იქაური მოსახლეობა, დიდ-პატარა წლების განმავლობაში მოითხოვდა საბავშვო ბაღის გახსნას, იმისათვის, რომ აზერბაიჯანელ სკოლამდელ ბავშვებს შესაძლებლობა ჰქონოდათ ადრეულ ასაკშივე დაუფლებოდნენ ქართულს.

— კარდაკარ მოგვიხდა სიარული, ვაგროვდებით ხელმოწერებს, ფერმაში არ დარჩენილა ოჯახი, რომელიც არ შემოუერთდა სოფლის მოთხოვნას, — იხსენებს ფერმის საბავშვო ბაღის გამგე ლორენა ჩიტაშვილი, — უფრო მეტსაც გეტყვით, შეძლებული ოჯახები დაგვეხმარნენ. სწორედ მათი მოწადინებითა და გვერდში დგომით, ორგანიზებით მოხერხდა ბაღისათვის შესაფერისი ადგილსამყოფელის გამოყოფა. ამ საქმეში დიდი დახმარება გაგვიწია ალაზაფირალიოღლის ოჯახმა, რომელმაც ბაღს დაუთმო ორსართულიანი შენობა, სადაც ამჟამადაც ვიმყოფებით და თქვენ წარმოიდგინეთ, დღემდე უანგაროდ გვეხმარება, ჩვენი დენის გადასახადსაც კი, ეს ოჯახი იხდის. ერთი სიტყვით, კიდევ ბევრი ოჯახი ზრუნავს ბაღზე, ჩვენთვის მოაქვთ საჭირო ინვენტარი.

მიმდინარე სასწავლო წელს ფერმის საბავშვო ბაღში 30 აღსაზრდელი ირიცხება და ამდენად, მომავალ სასწავლო წელს ფერმის საბაზო სკოლას ათი-თორმეტი პირველკლასელი ეყოლება. რაც მთავარია, ბაღის კურსდამთავრებული 6-7 წლის აზერბაიჯანელი ბავშვები მშობლებთან შედარებით თავისუფლად ფლობენ ქართულს და ფაქტიურად, ბავშვების დახმარებით ხერხდება ოჯახთან, მშობლებთან ურთიერთობა.

გამოსაშვები ჯგუფის ბავშვები რაულ თოფჩიევი, ალინა გუსენოვი, ფაზილზამინეოღლი და კიდევ სხვებიც თავისუფლად, ძალდაუტანებლად ითვისებენ ქართულს. უნდა ნახოთ, როგორი აქტიურობითა და ინტერესით ერთვებიან საბავშვო სპექტაკლებისა თუ სანახაობრივი წარმოდგენების გამართვაში. ბავშვებს ყველა პირობა აქვთ შექმნილი იმისათვის, რომ მიიღონ შესაფერისი აღზრდა, რადგან მათ სათანადო დონეზე უტარდებათ სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი, ამიტომაც ემადლიერებიან მშობლები აღმზრდელს, ნატალია ჩიტაშვილს და მის თანაშემწეს ნელი კორაევს. ბაღს მუსიკის მასწავლებელიც (ლია ხოცუაშვილი) ჰყავს, რომელიც კვირაში ორჯერ ატარებს მუსიკის გაკვეთილებს, ეხმარება ბავშვებს, რომ საინტერესო და სახალისო პროგრამა მოამზადონ საზეიმო კონცერტისათვის.

ცალკე აღნიშვნის საგანი გახლავთ საბავშვო ბაღის მზარეულის თემა... საქმე ის გახლავთ, რომ თეზელი ლიანა ხატიაშვილი კარგა ხანია ხელმძღვანელობს ბაღის სამზარეულოს და როგორც ფერმელები ამბობენ მის მიერ მომზადებული გემრიელი კერძები ისე მოსწონთ ბავშვებს, რომ შინ მისულები ხანდახან საკუთარ დედებს საგანგებოდ მომზადებულ საჭმელს უწუნებენ და ბაღის კერძებს ამჯობინებენ.

უფასო ბაღი, კარგი კვება, ავეჯი, გასართობები, საჭირო ილუსტრირებული ჟურნალები და წიგნები არ აკლიათ აღსაზრდელებს. ეს ყველაფერი კი, იმაზე მიუთითებს, რომ ბავშვთა კონტინგენტი სამომავლოდ კიდევ გაიზრდება.

კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება.

“შემოდგომის ზეიმი”— ნახევრად ცარიელ დარბაზში

ჯერ კიდევ გაზაფხულზე ქალაქის კულტურის ცენტრმა ჩაატარა ოთხი კონკურსი: ხალხური და საესტრადო სიმღერის, ქართული ცეკვის (ჯავარ ნაჭყებიას სახელობის) და “ფერიების კონკურსი”. კულტურის ცენტრის გადაწყვეტილებით გაიმართა კიდევ ორი, შემაჯამებელი კონცერტი სახელწოდებით “შემოდგომის ზეიმი”.

პირველი კონცერტი ჩატარდა 23 ოქტომბერს, რომელშიც მონაწილეობდნენ ქართული ხალხური ცეკვებისა და სიმღერების შემსრულებლები, ხოლო მეორე კონცერტი გაიმართა 3 ნოემბერს, მონაწილეობდნენ: საესტრადო სიმღერის კონკურსში და “ფერიათა კონკურსში” გამარჯვებული მუსიკოს-შემსრულებლები.

კონცერტზე გამოვიდა კარატისტთა ჯგუფი “წმინდა გიორგი”, (ხელმძღვანელი ფრიდონ დუდუჩავა), რომელმაც საინტერესო, სანახაობრივად ლამაზი და სახალისო შოუ წარუდგინა მაყურებელს. შემდეგ კი, სცენა დაეთმო თბილისიდან მოწვეულ სტუმრებს.

ჩვენმა მაყურებელმა თბილად მიიღო სამეჯლისო-სპორტული, თანამედროვე ცეკვების ჯგუფი — სტუდია “ვარსკვლავები”, რომელმაც შეასრულა ცეკვები: “ჩერლ ლიდერები,” “ჩა-ჩა”, “მიუზიკლი” და “აფრო სამბა”. სტუდიის ხელმძღვანელები თეა და თეონა წიკლაურები.

კონცერტში მონაწილეობდა აგრეთვე სტუდია “დანს უნივერსი” (ხელმძღვანელი ლევან გელაშვილი), რომელმაც მაყურებელს წარუდგინა ლათინოამერიკული ცეკვები: პოპური, პასადობლი, რუმბა. აქაური მაყურებელი კარგად იცნობს ამ ათიოდე წლის წინ კასპში ჩამოყალიბებულ სამეჯლისო-სპორტული ცეკვების სტუდიას (ხელმძღვანელი ევროპის პრიზიორი, საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი, პედაგოგი ზურაბ შველიძე თავის მეუღლე - ნინოსთან ერთად), რომლის მიერ წარმოდგენილმა ცეკვებმა კვლავაც მოხიბლა მაყურებელი. კონცერტზე ნინო და ზურა შველიძეებმა შეასრულეს არგენტინული “ტანგო” და “პასადობლი”. მოწონება დაიმსახურა ლევან გელაშვილისა და ანა ჭანტურიას წყვილმა (საქართველოსა და ევროპის ჩემპიონები), მათ შეასრულეს ცეკვები: “რუმბა” და “პასადობლი”.

კონცერტის ბოლო აკორდი გახლდათ “ფერიების კონკურსში” გამარჯვებული ბავშვების გამოსვლა. პატარა მომღერლებმა (ორგანიზატორი ლია მენაბდიშვილი) ამჯერადაც მოხიბლეს მაყურებლები და დიდი ოვაციებით და აპლოდისმენტებით დატოვეს სცენა.



მინდა იცოდეთ, რომ შეიქმნა ბავშვთა ცენტრი, სადაც გაერთიანდნენ სკოლამდელი ბავშვები და სკოლის მოსწავლეები, ბავშვებს სიმღერას ასწავლის ყველასათვის კარგად ცნობილი, მრავალი კონკურსის გამარჯვებული, ნიჭიერი მომღერალი მედეა ბეჟიტაშვილი. დარწმუნებული ვართ, რომ საბავშვო ცენტრი უახლოეს ხანში ბევრ მსურველს მიიზიდავს. ამის შესახებ ფართო საზოგადოებამ ჯერ-ჯერობით არაფერი იცის იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ვერ მოხერხდა ინფორმაციის მიწოდება, ანალოგიური ვითარება შეგვექმნა კონცერტის დღესაც, მიუხედავად იმისა, რომ გვქონდა მრავალფეროვანი და საინტერესო საკონცერტო პროგრამა, კონცერტი ნახევრად ცარიელ დარბაზში ჩატარდა, ამის ერთ-ერთი მიზეზი გახლავთ ისიც, რომ მოსახლეობა ვერ იღებს ინფორმაციას, ერთი სიტყვით, მოკლედ რომ ვთქვათ ქალაქში არ არის არც ერთი სარეკლამო ფირნიში, სადაც განთავსდება აფიშები.

ქალაქის კულტურის ცენტრი უახლოეს დღეებშიც კვლავ, გეგმავს კონცერტის ჩატარებას, მაგრამ ამის შესახებ მოსახლეობა, განსაკუთრებით კი, კასპის გარეუბნების მაცხოვრებლები, როგორც ყოველთვის მოგვიანებით შეიტყობენ, ეს გაგრძელდება მანამ, სანამ ქალაქში არ გამოიყოფა სარეკლამო ადგილები.

ზაზა მენაბდიშვილი.

ქართველთა და უკრაინელთა მეგობრობის დღესასწაული

“ლესიაობა” – ქართველთა და უკრაინელთა მეგობრობის დღესასწაული! იგი წელს დიდი უკრაინელი პოეტი ქალის – ლესია უკრაინკას გარდაცვალების 100 წლისთავს დაემთხვა.

სამი დღით ადრე ჩამოვიდნენ უკრაინელი სტუმრები საიუბილეო “ლესიაობის” აღსანიშნავად პოეტის მშობლიური ქალაქიდან; ნოვოგრად-ვოლინსკის რვაკაციან დელეგაციას ხელმძღვანელობდა ქალაქის მერი ვლადიმერ ზაგრივინი. სტუმრები ეცნობოდნენ ქართული კულტურის ძეგლებს, ეკლესია-მონასტრებს; მათ 2 ნოემბერს მონაწილეობა მიიღეს ქ. ხაშურის დღესასწაულში “ხაშურობა”.

“ლესიაობა” კი 3 ნოემბერს დაიწყო სურამის მე-3 საჯარო სკოლაში, რომელიც თითქმის 50 წელია ამ უკრაინელი პოეტის სახელობისაა. აქ ყოველთვის იხსენებენ წლების წინათ სასკოლო შენობის ხანძარს, ერთადერთი წიგნი რომ გადაურჩა – ლესიას რჩეული ... იგი ახალ სკოლაში ლესიას მუზეუმის გამორჩეული ექსპონატია.

ზეიმი გახსნა სკოლის დირექტორმა თამარ ჯობაძემ.

კარლო კალაძის ლექსი წაიკითხა პატარა სოფიკო ცუცქირიძემ – სურამში ლესიას მომვლელი ქალის – დიდი ბებია სოფიო ცუცქირიძის შთამომავალმა.

“აქ 1913 წელი
შენს მიტოვებულ სახლს აწერია ...
გამოსალმების წელი კი არა,
წელია შენი დაბადებისა!” (კ. კალაძე).

სკოლის დირექტორმა სტუმრებს გააცნო ორი სასკოლო ტრადიცია: პირველკლასელთა მოსწავლედ კურთხევა ლესიას სასკოლო მუზეუმში და ნორჩ მხატვართა შემოქმედებითი სახელოსნო “ფიროსმანის” ყოველწლიური კონკურსი “მეგობრობის თეთრი პალიტრა” (პედაგოგი ინგა ჩაჩანიძე). სწორედ

ამ პედაგოგს შეუქმნია ორი სიმბოლოემბლემა: ქართული და უკრაინული დროშების ფერებში გადაწყვეტილი კონვალია (ლესიას საყვარელი ყვავილი – შროშანი – თ. გ.) თაბაშირსა და ქაღალდის ასლებში მეგობრობის ტელეხიდისათვის სურამი-კიევი-ვოლინსკი და პირველკლასელთა სამკერდე ნიშანი – ორი ხელჩაკიდებული კაცუნა ... სასკოლო კონკურსის “უკრაინა ქართველი ბავშვების თვალით” 16 გამარჯვებულს ნოვოგრად-ვოლინსკის მერმა გადასცა დიპლომები, მათი ნამუშევრები კი უკრაინაში წასაღებად ჩაიბარა. ბატონმა ვ. ზაგრივინმა სკოლას საჩუქრად გადასცა მობილური მიკროფონების ნაკრები წიგნებით და ტკბილეულით. “ისტორიული დღეებია” – აღნიშნა მერმა, – “თავი ზღაპარში მგონია, ჩვენ თქვენთან ერთად 60 მილიონი ვართ.” შეხვედრაზე უჩვენეს სასკოლო კინოსტუდია “ლესიას” დოკუმენტური ფილმები.

დღესასწაულმა გადაინაცვლა ზინდისის გორაკზე, ლესიას მუზეუმთან და ძეგლთან. მუზეუმის კიბეებზე პირველკლასელთა ჯგუფმა უკრაინული ლექსებით დაატკბო მაყურებელი. მათ სტუმრებს ქართული შემოდგომის ნობათი – ხილი, ჩურჩხელები, ყურძენი მიართვეს, ფიალებით და ყანწებით კი ღვინო ...

უკრაინელმა სტუმრებმა ტკბილეულით გაანებივრეს ნორჩები: – შოკოლადის ფილებით ნოვოგრად-ვოლინსკში ლესიას ძეგლის (გაიხსნა ლესიას დაბადების 100 წლისთავზე 1971 წ.) ანაბეჭდით და შოკოლადის შავთეთრი დიდი მედალიონებით, ზედ ამოტვიფრული ვოლინსკის გერბით ...

უკრაინის დელეგაციამ მუზეუმის დათვალიერების შემდეგ ლესიას ძეგლი შეამკო ორი ნობათით: უკრაინული დროშის ფერების – ყვითელი და ცისფერი ვარდების დიდი სამგლოვიარო გვირგვინით და ყვითელ-ცისფერივე ქრიზანთემების დიდი საზეიმო კალათით. სხვათა შორის, მსურველები გაასეირნეს კინოსტუდიის ორცხენიანი ფაიტონით (მეეტლე რომან კვერნაძე). შეხვედრაზე მღეროდა საქართველოში უკრაინული დიასპორის ანსამბლი “ჩერნობრივცი” ქ. რუსთავიდან (ხელმძღვანელი ტ. ჩორგოლაშვილი).

სურამის კულტურის სახლში (სცენაზე ლესიას პორტრეტი “რუშნიკის” ფონზე და მზესუმზირები) გაიმართა საიუბილეო კონცერტი. აქ სიტყვებით გამოვიდნენ: ვლადიმერ ზაგრივინი და სურამის მუნიციპალიტეტის გამგებელი ზ. ლომიძე., თ. ჯობაძე, სურამის ყოფილი მერი ტ. გოგოლაძე, რომელმაც დიდი პირადი ძალისხმევით 10 წლის წინ აღადგინა “ლესიაობა,” იგი ბოლო 15 წელია სისტემატურად მონაწილეობს ნოვოგრად-ვოლინსკში ლიტერატურულ ზეიმში “ლესიას წყაროები”. კულტურის სახლის სცენაზე გამოსვლისას ვ. ზაგრივინმა სიამაყით აღნიშნა, რომ ლესია უკრაინკა იუნესკოს გადაწყვეტილებით შეტანილია მსოფლიოს ყველაზე ცნობილ ქალთა ათეულში. “გენიოსი, რომელიც ჩვენთან დაიბადა და თქვენთან გარდაიცვალა; უღრმესი მადლობა თქვენ, სურამელებო, რომ ასე უფრთხილდებით ლესიას ხსოვნას.”

საზეიმო კონცერტში მონაწილეობდნენ – სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლი “ხაშური” (ლოტბარი ავთანდილ ნემსაძე), სურამის კულტურის სახლის ქორეოგრაფიული სტუდია, მომღერალთა ანსამბლი “ციცინათელა,” რუსთავის “ჩერნობრივცი”. განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა მევიოლინეთა ანსამბლმა, – ვირტუოზულად შეასრულა “სულიკო”, უკრაინული სახუმარო სიმღერა “ტი კაზალა ვ პომედილოკ” და რ. ლაღიძის “თბილისო.” “ჩერნობრივცის” თანხლებით იმღერა ნოვოგრად-ვოლინსკის ლ. უკრაინკას სახ. კულტურის სახლის დირექტორმა ირინა ანტიპჩუკმა. მაყურებელი დიდხანს უკრავდა ტაშს ქორეოგრაფიულ კომპოზიციას “კიდევაც დაიზრდებიან” და ცეკვა “ქართულს”.

საგულისხმოა, რომ ლესიას პირველი ძეგლი და პირველი მუზეუმი საქართველოში, სურამში გაიხსნა 1952 წელს (2012 წელს 60 წლისთავი აღინიშნა); ხოლო უკრაინაში, პოეტის მშობლიურ ქალაქში ლესიას პირველი მუზეუმი მხოლოდ მისი გარდაცვალების 50 წლისთავზე – 1963 წელს გაიხსნა და წელს ეს მუზეუმიც იუბილარია – 50 წლისთავის ლამაზი თარიღით ...

“აჩვენეთ “ლესიაობა” მსოფლიოს და ომი აღარ იქნება” – ასეთი იყო “მზიურის” მისამართით გამოთქმული შეფასების პერიფრაზი, ამ დღესასწაულის ყველაზე ლაკონური რეზიუმე!..

საიუბილეოდ უკრაინამ გამოუშვა ტურისტული მარკა ლესიას პორტრეტითა და დაბადება-გარდაცვალების თარიღით, აგრეთვე ჯიბის და ოთახის კალენდრები.

თამარ გაბოძე.

სპორტი

მოსწავლეთა სპარტაკიადა 2013-2014 წელი

მიმდინარე წლის 17 ოქტომბერს სტარტი აიღო მოსწავლეთა 2013-2014 სასწავლო წლის მოსწავლეთა სპარტაკიადამ, რომელიც სასწავლო წლის ბოლომდე გაგრძელდება. შეჯიბრებები ჩატარდება მძლეოსნობაში (მოკლე მანძილზე რბენა 100 მ. და გამორბენით სიგრძეზე ხტომა), ფრენბურთში და კალათბურთში (გოგონები და ვაჟები), ჭადრაკში, მაგიდის ჩოგბურთში, მინი ფეხბურთში, ქართულ ჭიდაობაში და 64 უჯრიან შაშში.

პირველი ასპარეზობა გაიმართა რბენაში და გამორბენით სიგრძეზე ხტომაში. შეჯიბრში მონაწილეობდა 24 საჯარო სკოლა.

გაგაცნობთ გამარჯვებულ გუნდებს, რბენა 100 მეტრზე (საჯარო სკოლები):

ვაჟები:

პირველი ადგილი - ტარიელ ღვინიაშვილი (გიმნაზია), მეორე ადგილი - გიორგი დავლაშერიძე (ახალქალაქი), მესამე ადგილი – გოჩა შატაკიშვილი (ნიგოზა).

გოგონები:

პირველი ადგილი – ნატა ლაზუაშვილი (სასირეთი), მეორე ადგილი – მერი მახარობლიშვილი (ოკამი), მესამე ადგილი – მარიამ მოდრეკილაძე (კავთისხევი).

რბენა 60 მეტრზე (საბაზო სკოლები):

ვაჟები: პირველი ადგილი – ომარ თენგიზოღლი (ფერმა), მეორე ადგილი – ნუკრი ბადაშვილი (მეტეხი-2), მესამე ადგილი – ნოზურ ახვერდოვი (მიქელწყარო).

გოგონები: პირველი ადგილი – ირინა ბაირამოვი (ფერმა), მეორე ადგილი – გვანცა მღებრიშვილი (მიქელწყარო), მესამე ადგილი – სოფო ბეგიაშვილი (მეტეხი-2).

გამორბენით სიგრძეზე ხტომა (საჯარო სკოლები):

ვაჟები: პირველი ადგილი – გიორგი ბაშარული (ოკამი), მეორე ადგილი –ზაზა ვარდოშვილი (გიმნაზია), მესამე ადგილი – ზაზა წენგუაშვილი (კავთისხევი).

გოგონები: პირველი ადგილი – გულიკო ზაალიშვილი (კასპი, №4), მეორე ადგილი – დალი ბოგველი (მეტეხი), მესამე ადგილი – გვანცა კაცელაშვილი (სასირეთი).

საბაზო სკოლები:

ვაჟები: პირველი ადგილი – თორნიკე ილურიძე (მეტეხი №2), მეორე ადგილი – ომარ თენგიზოღლი (ფერმა), მესამე ადგილი – ნიკა მღებრიშვილი (მიქელწყარო).

გოგონები: პირველი ადგილი – მარიამ ზოზრაშვილი (მეტეხი №2), მეორე ადგილი – ნაზი ალიევი (ფერმა), მესამე ადგილი – გვანცა მღებრიშვილი (მიქელწყარო).

გუნდური ჩათვლები კი, შემდეგნაირად განაწილდა: რბენა 100 მეტრზე (საჯარო სკოლები):

პირველი ადგილი – სასირეთი, სპორტის მასწავლებელი ნიკო მაზმიშვილი, დირექტორი ნანი ბარნაბიშვილი, მეორე ადგილი – ოკამი, სპორტის მასწავლებელი დავით ყველაშვილი, დირექტორი დავით ქოთოლაშვილი, მესამე ადგილი – კავთისხევი, სპორტის მასწავლებელი ალიკა ნონიკაშვილი, დირექტორი ნანა ქსოვრელი.

გამორბენით სიგრძეზე ხტომა: პირველი ადგილი – ოკამი, სპორტის მასწავლებელი დავით ყველაშვილი, დირექტორი დავით ქოთოლაშვილი, მეორე ადგილი – კასპი №4, სპორტის მასწავლებელი ვასილ დარახველიძე, დირექტორი ქეთევან ხითარიძე, მესამე ადგილი – მეტეხი №4, სპორტის მასწავლებელი ჯონდო როსებაშვილი, დირექტორი მანანა გეჯაძე.

საბაზო სკოლები, რბენა 60 მეტრზე:

პირველი ადგილი – ფერმა, სპორტის მასწავლებელი და დირექტორი შახალ ისმაილოვი, მეორე ადგილი – მიქელწყარო, სპორტის მასწავლებელი ზურა ადამაშვილი, დირექტორი მაია ლაფერაშვილი, მეორე ადგილი – მეტეხი №2, სპორტის მასწავლებელი თამაზ ჯლანტიაშვილი, დირექტორი გია ბუდაღაშვილი, მესამე ადგილი – წინარეხი, სპორტის მასწავლებელი სერგო ლაცაბიძე, დირექტორი ვასილ ქეშელაშვილი. გამორბენით სიგრძეზე ხტომა: პირველი ადგილი – მეტეხი №2 , სპორტის მასწავლებელი თამაზ ჯლანტიაშვილი, დირექტორი გია ბუდაღაშვილი, მეორე ადგილი – ფერმა, სპორტის მასწავლებელი და დირექტორი შახალ ისმაილოვი, მესამე ადგილი – მიქელწყარო, სპორტის მასწავლებელი ზურა ადამაშვილი, დირექტორი მაია ლაფერაშვილი.

დასრულდა მოსწავლეთა სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული პირველობა ფრენბურთში გოგონათა შორის, რომელიც მიმდინარეობდა 24–31 ოქტომბერს.

შეჯიბრში მონაწილეობდა თორმეტი საჯარო სკოლის ნაკრები გუნდი. ფინალში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ სასირეთისა და ზემო ხანდაკის გუნდები. შეხვედრა დაძაბულად მიმდინარეობდა გარდამავალი უპირატესობით, მაგრამ საბოლოოდ სასირეთის გუნდმა მოახერხა გამარჯვების მოპოვება, ზემოხანდაკელები კი, მეორე ადგილს დასჯერდნენ.

დასასრული მე-8 გვ.

სიცოცხლე ღვინო ოქროს ფრანგში ჭარბობენ შეკვიდა

ქარხნული წესით ხშირია მასთან ხიხვისა და მწვანეს შერევაც. (მწვანეც უნიკალური კახური ჯიშია და მხოლოდ მისი მტევნებისგან დაყენებული მოყვითალო, მომწვანო ღვინო მსუბუქი სურნელით, ნაზი, ხალისიანი, ჰარმონიული გემოთი გამოირჩევა. ხიხვიც, აღმოსავლეთ საქართველოს, ერთ-ერთი მშვენიერი და გემრიელი ჯიში, დამოუკიდებლადაც იძლევა ოქროსფერ, სურნელოვან მაგარ ღვინოს. ორივე მათგანს თავისი ადგილი მყარად აქვს დამკვიდრებული ქართულ ღვინოწარმოებაში. რქაწითელის ნერგები საქართველოდან სხვადასხვა ეპოქებში მრავალგზის გაუტანიათ და, მიუხედავად იმისა, რომ იგი ერთ-ერთი უძველესი აბორიგენული ჯიშია, მშობლიური კახეთის გარდა, შავი და ხმელთაშუა ზღვის აუზის რამდენიმე ქვეყანაში, შორეულ უზბეკეთსა და ყაზახეთშიც კი გაახარეს.

საფერავიც ერთ-ერთი სიმბოლოა ქართული მეღვინეობისა. მისგან იშვიათი გემოსა და სურნელის, ძვირფასი ღვინო მზადდება. მუქლურჯი მომელნისფრო შეფერილობის ნაზკანიანი, თითქოს ცვილით დაფარული საშუალო ან დიდი ზომის მტევნები საკვებად ისე წარმატებით არ გამოიყენება, როგორც რქაწითელი, თუმცა, ჩემი აზრით ძალიან გემრიელია. ღვინო კი, რომელსაც კახეთში წითელს ეძახიან, სხვა კუთხეებში კი, შავს, ნამდვილად ღვთიურია. ტრადიციულად, სწორედ იგი იხმარებოდა ერთერთი დიდი ქრისტიანული საიდუმლოს –ზიარების აღსრულებისას. უკანასკნელ ხანს მეცნიერებმა საფერავში უამრავი სამკურნალო თვისება აღმოაჩინეს, განსაკუთრებით გულ-სისხლძარღვთა სისტემის მაკურნებელი. დაძველების პერიოდების მიხედვით იგი განსხვავებულ სურნელებასა და თვისებებს ამჟღავნებს. ხშირად სხვა ჯიშის ყურძენს ნაწილობრივ საფერავს დაამატებენ ხოლმე, რომ ღვინო გაკეთილშობილდეს.

ქართლის ვენახებს დარეჯან დედოფალი თურმე გულმოდგინედ უფრთხილდებოდა. ქართლში გავრცელებულ მრავალ ორიგინალურ ჯიშთაგან ჩინური, თავკვერი და გორული მწვანე გამორჩეულ ღვინოებს იძლევა, მუქი ლურჯი ფერის თავკვერის მტევნები მისართმევადაც სასიამოვნოა და მისგან სურნელოვანი სუფრის ღვინოც იწურება. წარჩინებული მშხეფარე ღვინოები მზადდება ჩინურისა და გორული მწვანეს შერევით–ღია ჩალისფერი, მომწვანო ელფერით, ნაზი და ჰარმონიული გემოთი. თუ კახურ, და ნაწილობრივ ქართლურ ღვინოს თანდაყოლილი პიკანტური სიმწკლარტე დაჰკრავს, იმერულ, მეგრულ, რაჭულ, აფხაზურ და აჭარულ ღვინოებში ხილის სურნელთა ერთობლიობა და სიმსუბუქე სჭარბობს. მაგალითად, ცოლიკაურის, ციცქასა და კრახუნას იმერული ჯიშებისაგან ლამაზი ჩალისფერი, ექსტრაქტული, რბილი, გამაგრილებელი მჟავიანობის მქონე ღვინო მზადდება. იმერული წესით, ტკბილის დუღილითა და ნაწილობრივ ჭაჭის დამატებით დაყენებული ღვინოები ნაკლებალკოჰოლურია და მათ რაჭულ თეთრასთან ერთად, ხშირად საქეიფოსაც უწოდებენ. ბუნებრივად მოტკბო ღვინო მზადდება ასევე ჩხავერის ჯიშის ყურძნისაგან, რომელიც იზაბელასთან ერთად, უხვად ხარობს აფხაზეთს, აჭარასა და გურიაში. ჩხავერისაგან დამზადებულ ღია ჩალისფერ ღვინოს, დახვეწილი და სასიამოვნო გემო აქვს ხილის ნაზ არომატთან ერთად. მათგან შუშხუნა ღვინოებსაც აყენებენ. წითელი, განუმეორებელი მარწყვის ტონების მატარებელი, ლალისფერი ღვინო მზადდება ოჯალეშისაგან, რომელიც ცაგერსა და სამეგრელოშია გაშენებული. ისიც ქართული მოტკბო ღვინოების რიგს ამშვენებს თავისი მდიდარი, ჰარმონიული გემოთი. ასევე ლალისფერია უსახელოურიც –განსაკუთრებულად ნაზი, ტკბილი ღვინო, მაგრამ მოტკბო ღვინოების დედოფლად მაინც უძვირფასესი წითელი ღვინო–ხვანჭკარა ითვლება, რომელიც რაჭული ალექსანდროულისა და მუჯერეთულის ჯიშებისაგან მზადდება. მას ხავერდოვნება და განვითარებული ჯიშური არომატების ნაზავი ახასიათებს...

შეუძლებელია, ასეთ კულტურულ –ესთეტიკურ მოვლენაზე საუბრისას, უკმარისობის გრძნობა არ დაგეუფლოს; თანაც ამ მცირე ნარკვევის მიზანიც ხომ, გარკვეულწილად, ამბიციურია: გაახსენოს მკითხველს, რომ ქართული ვაზი და ღვინო მარადისობის თემაა – უსასრულო და დროში განფენილი –ბუნებისა და ადამიანის გონიერი ნებისყოფის ანარეკლი; თავად არის პათოსი და ამაღლებულ განცდათა სათავე. მეტიც –ვაზი და ღვინო რამდენიმე საყოველთაოდ ცნობილ ფენომენთან ერთად, ზოგადეროვნული იდეის ნაწილია და "თუ საქართველოს სიკვდილი არ უწერია", იმედია, რომ ისიც მასთან ერთად იცოცხლებს.

მარინა ალექსიძე.

დასასრული. დასაწყისი იხ. "ახალი განთიადი" №20

ᲚᲐᲚᲘ ᲗᲐᲗᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ

შუბათი
ᲜᲐᲡᲝᲤᲚᲐᲠᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ქსილისი თრიალეთის ქედის ჩრდილო განშტოებაა, რომელიც სამხრეთიდან ზღუდავს მდინარე კავთურის ზემო დინების ქვაბულს. ნასოფლარი შუბათი ქსილისის მთის ჩრდ-დასავლეთ ნაწილში, მდინარე კავთურის მარცხენა მხარეს მდებარეობს და დღევანდელ დასახლებული ადგილებიდან საკმაოდ დაშორებულია.

შუბათის ეტიმოლოგიის დასადგენად სარწმუნო წყარო არ გაგვაჩნია. სახელის ფუძე, სავარაუდოდ დაკავშირებულია "შუბთან", ერთგვარ საბრძოლო იარაღთან, რომელსაც გრძელ ტარზე დაგებული ლითონის პირი აქვს- "შუბი არს ლახუარი, სამძგიდე და ბუნ გრძელი" ("სიტყვის კონა", სულხან-საბა ორბელიანი). ჩვენთვის ხელმისაწვდომ ისტორიულ დოკუმენტებში გეოგრაფიული სახელი "შუბათი" არ იხსენიება. მე-16 საუკუნის დოკუმენტებში გვხვდება "შუბანი" (ქართული სამართლის ძეგლები, ტომი მე-3 გვ.308, 333), მაგრამ ტერიტორიულად ის დასავლეთ საქართველოში მდებარეობდა.

ნასოფლარისა და მის ირგვლივ არსებულ ადგილთა ტოპონიმები წარმოდგენას გვაძლევს მოსახლეობის, მათი საქმიანობის და აქ განვითარებული შინამრეწველობის დარგების შესახებ.

შუბათში ორი უბანი იყო: დასავლეთით მდებარე დასახლებას ზემო შუბათს ეძახდნენ, აღმოსავლეთით მდებარეს- ქვემო შუბათს. მათ შორის ერთ კილომეტრამდე მანძილია. ზემო შუბათი მაღლობზე მდებარეობს. მას აღმოსავლეთიდან ესაზღვრება მყუდრო, ტყიანი ადგილი, რომელსაც წიქრის უბეს ეძახიან, დასავლეთიდან უხმარას მთა, ჩრდილო-აღმოსავლეთიდან ხიზანას მთა, ხოლო სამხრეთიდან ტყე, რომელსაც ტყემლიანა ჰქვია. ნასოფლარის დასავლეთით გრძელკრიახის ქედია, მისი ჩრდილო კალთები დაბურულ ტყიანია, სამხრეთი კალთის ნიადაგი კი შლილია, კლდიანი. "კრიახი" სწორედ შლილს კლდოვან მწირ ადგილს ჰქვია. ქვემო შუბათის ჩრდილოეთით საქარიას ქედია, სამხრეთ-აღმოსავლეთით კი დიდგორის და ყავრიანის მთები. შუბათის მიდამოებში ფოთლოვანი ტყეა, აქა-იქ შერეულია ნაძვი და ფიჭვი.

შუბათზე გადიოდა გზა, რომელიც სამხრეთ საქართველოს შუა ქართლთან აკავშირებდა. ამ გზას ადრე თამარის გზას ეძახდნენ. ნასოფლარიდან გუდალეთისკენ მომავალი გზა ვარჯაანზე ჩამოივლის, წინარეხისაკენ მიმავალი კი ბოტისა და პარატისზე.

სოფელში ცხოვრობდნენ გუდამაყრიდან ჩამოსახლებული მთიულები. მათი წინაპრები აქ მე-19 საუკუნის დასაწყისში დასახლებულან და როგორც ჩანს, მათ უწოდებიათ თავიანთი სოფლისთვის ეს სახელი. გუდამაყრელთა ჩამოსახლების მიზეზი უცნობია, შესაძლოა ისინი პირად შუღლს, ან გაჭირვებას გამოექცნენ. მათი ჩამოსახლებისას ამ ადგილებში აღარავინ ცხოვრობდა, თუმცა ეტყობოდა ძველ ნასახლართა კვალი. რატომ დაიცალა ეს მხარე, სად წავიდნენ ძველი მოსახლენი მთხრობელთათვის უცნობია. ქვემო შუბათი არის გვირაბის ნაშთი, რომელიც რამდენიმე ადგილზე ჩაქცეულია. როცა პირველი გუდამაყრელები მოსულან ამ ადგილებში, უნახავთ დიდი მრგვალი ქვა, რომელიც გვირაბის შესასვლელს ფარავდა. გვირაბი სამად იტოტებოდა: ერთი ჩრდილის ხევში გადიოდა, მეორე ძირხევაში, ხოლო მესამე ნასოფლარის სამხრეთ-აღმოსავლეთით.

სოფელი შუბათი გორის მაზრაში შედიოდა. 1873 წლის კამერალური აღწერის მიხედვით სოფელში 16 ოჯახს, სულ 101 სულს უცხოვრია. ესენი იყვნენ წიკლაურები, ბექაურები, აფციაურები, ორი ოჯახი გიგაური და ერთიც ჩოხელი. 1886 წლის აღწერის მიხედვით სოფელში 19 კომლია, სულ 127 კაცი. ყველა მართლმადიდებელი და ამ მიწებზე მფლობელის უფლებით მცხოვრები.

ნასოფლარის ტერიტორიაზე შემორჩენილია ნასახლარები. ქვემო შუბათში ერთი სახლი შემორჩა, რომელიც მახარე წიკლაურს ეკუთვნოდა, ამ უბანს ვარდის უბანს ეძახდნენ.

შუბათში მდგარი კვირაცხოვლის ეკლესიას მოსახლეობა კვირაპატიოსანს უწოდებდა. ამჟამად მისი ნანგრევებია შემორჩენილი. ზემო შუბათის აღმოსავლეთით მდებარეობს ვაკე, რომელსაც ნახაფანგარა ჰქვია. სახელწოდება, როგორც ჩანს მისი ბუნებრივი მდებარეობის გამო შეურქმევიათ: ყველა მხრიდან ღრმა ხევები აკრავს, მხოლოდ აღმოსავლეთიდან გამოდის ერთი გზა. ნახაფანგარში მდებარეობს ადგილის დედის ნიშის ნანგრევები. ადგილის დედის ანგელოზი ითვლებოდა სოფლისა და მისი მიდამოს მფარველად. ოჯახი შეუთქვამდა ძროხას, საამისოდ დააყენებდნენ ზვარას. ხბოს არქმევდნენ "ადგილას" ან "ანგელოზას". ნებისმიერ კვირაძალზე ღამისთევით მიდიოდნენ ნიშთან, კლავდნენ საკლავს და შესთხოვდნენ ადგილის დედას მათი ოჯახებისა და სოფლის მფარველობას და კეთილდღეობას. ნასოფლარში შემორჩენილია დიდი საკულტო მუხაც.

შუბათელები დიდ პატივს მიაგებდნენ დიდგორობას. ეს იყო დიდგორის ომში დაცემულ წინაპართა სულის მოსახსენებელი დღე. მარიამობის მარხვა რომ გახსნილდებოდა, პირველივე შაბათს იმართებოდა დიდგორობა. შუბათელები ღამისთევით მიემართებოდნენ დიდგორზე, მიჰყავდათ კურატი და პატივს მიაგებდნენ წინაპართა სულებს.

შუბათში რამდენიმე წყაროა: ზემო შუბათში სანსალა წყარო, ქვემო შუბათში კი დედუკას წყარო და სარქისაანთ წყალი. ნასოფლარის სამხრეთით ჩრდილის ხევის გაგრძელებაზე, წისქვილის ხევია, სადაც ნაკადულები იყრის თავს. ხევში შემორჩენილია ნაწისქვილარი. წისქვილის ხევში სამი კერძო წისქვილი ყოფილა: ვანო ბექაურის - ჩონქარასი, მისი ძმის - მიხა ბექაურის და მახარე წიკლაურის. კოლმეურნეობის ჩამოყალიბების შემდეგ სოფელს გაუკეთებია ერთი წისქვილი. რომელსაც მეწისქვილე არ ჰყოლია, წისქვილი არ იკეტებოდა, ვინც მიიტანდა საფქვავს, ის თვითონ დაფქვავდა. მინდს არც კერძო და არც საზოგადო წისქვილში არ იღებდნენ.

შუბათელები ძირითადად მისდევდნენ მესაქონლეობას. აშენებდნენ უმთავრესად მსხვილფეხა პირუტყვს. ამ დარგის განვითარებისათვის შუბათში შესანიშნავი პირობები იყო. ზაფხულობით სოფლიდან მოშორებით გაჰყავდათ საძოვარზე. ამ ადგილებს ახლაც შემორჩენილი აქვთ პატრონთა სახელები: ხიზანას მთა, ხიზანას საზაფხულო ნაბინავრები, ბეჟანიაანთ ნაბინავრები და ა.შ.

დასასრული იხილეთ "ახალი განთიადი"-ს მომდევნო ნომერში.

* დასასრული.

მორწმუნე მართლმადიდებელთა ნაწილმა დღესაც არ იცის ყველა იმ ორგანიზაციული, საკულტო და პრინციპული დოგმატური ხასიათის განსხვავებების შესახებ, რომელიც კათოლიციზმსა და მართლმადიდებლობას შორისაა, მაგრამ, ტრადიციულად, ქართველთათვის ორგანულია იმ ავტოკეფალიური ეკლესიის წიაღში ყოფნა, სადაც "ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების". პარადოქსულია, რომ ეკლესიას, სადაც არ იგრძნობა დროის სვლა, სადაც ვერ აღწევს ცვლილებები და რწმენაც პირველყოფილია, სადაც ხანგრძლივი და მკაცრი მარხვებია, სადაც არქიტექტურაცა და ზოგადმხატვრული არაპომპეზური ესთეტიკა ღვთისმოსაობით უფრო შიგნიდანაა გამსჭვალული და არა გარეგნულად, იმოდენა მრევლი ჰყავს, ტაძრებში ვერ ეტევა. ძნელია, განსაზღვრო, რამდენია მათ შორის მართლმორწმუნე, მცირედმორწმუნე, ან საზოგადოებრივ გაერთიანებაში ყოფნის მსურველი, მაგრამ სურათი უდავოდ შთამბეჭდავია. თანაც, ქართულ ეკლესიას არასოდეს განუხორციელებია სხვა რჯულის მორწმუნეთა დევნა. მიუხედავად იმისა, რომ არასოდეს ყოფილა ეკუმენისტური, მისთვის უცხოა ფანატიზმი და რადიკალიზმი.

მეტაფორული მოდელები

ჩვენს რწმენას გარკვეული ხალხურობაც კი ახასიათებს. უფლისა და წმინდანებისადმი მოწიწება ქართველებს ხელს არ უშლის, ერთგვარად გაუშინაურდნენ მათ. უფლის განჭვრეტის იდუმალ გზაზე სვლას, საკუთარ არსში ჩაღრმავების გავლით, ქართველები ხატების და წმინდანების შემწეობით ცდილობენ. წმინდანების მოხსენიებაში რაღაც ბუნებრივი სიყვარული და სიახლოვე ჩანს. ხალხურ ზღაპრებსა და თქმულებებში ქრისტე ღმერთი, ელია წინასწარმეტყველი, წმიდა გიორგი ზოგჯერ ჩვეულებრივი პერსონაჟები არიან. მაგ., აკაკი წერეთლის შესანიშნავ ზღაპარში "მამალი რას ყივის", რომლის მთავარი გმირი პეტრე მოციქულია, ასეთი ფრაზა მოგხვდება თვალში: "ქრისტემ ჩაიცინა ულვაშებში, ვენაცვალე იმის სიცილს".

ქართულ სოფლებში ხშირად გაიგონებთ ამგვარი განწყობილებებით გამსჭვალულ გამოთქმებს, მაგ: "ღვთისმშობელო, შენს კალთებს ვენაცვალე!", "წმიდაო გიორგი, შენი სახელის ჭირიმე!" ფიროსმანი ამბობდა თურმე: წმიდა გიორგი მათრახით მადგას თავზე და მეუბნება, დახატე, ნიკალა, დახატეო... საერთოდ, წმიდა გიორგი ქართველთათვის გამორჩეული სიყვარულით აღბეჭდილი და განსაკუთრებული ძლევამოსილების მატარებელი წმინდანია. გაუსაძლის და ურიცხვ მტერთან ბრძოლისას მეომრებს სწამდათ, რომ წინ წმიდა გიორგი მიუძღოდათ. ისტორიაში ცნობილია რამდენიმე ასეთი ბრძოლა, მაგ., დიდგორისა.

ვახუშტი აღნიშნავს, რომ საქართველოში არ არსებობს ბორცვი და მაღალი გორა, სადაც წმიდა გიორგის სახელობის ტაძარი არ იყოს. ბოროტებასთან (გველეშაპთან) მებრძოლი ჭაბუკის სახე მკვიდრობს ქართულ უძველეს რელიგიურ მოდელებში და მას წმიდა გიორგის უწოდებენ. მკვლევართა აზრით, მან ჩაანაცვლა წინარექრისტიანული პანთეონის მთავარი ღვთაება – მთვარე, უკუსვლით შეაღწია მითოსშიც და, ფაქტობრივად, შეცვალა მისი

*დასაწყისი.იხ"ახალი განთიადი"№20

პირველსახე. ასეთივე ხალხურობა ახასიათებს რელიგიურ დღესასწაულებს სოფლებსა და მთიანეთში. ხევისბერის ინსტიტუტსა და მსახურების გარეგნულ მხარეს თუ ჩავუკვირდებით, მყისვე აღმოვაჩენთ გასაკვირ, მაგრამ სრულიად თვალსაჩინო კავშირს წარმართულ ჩვეულებებთან: ამისათვის მხოლოდ საკლავის დაკვლის წესები და რიტუალიც კმარა. გარდა ამისა, ვაჟა-ფშაველა მოგვითხრობს, რომ ფშავსა და მთის სხვა კუთხეებში "თითოეულ თემს ჰყავს საკუთარი ხატი გარდა საზოგადო ხატისა"(რაც დღემდეა შემორჩენილი). ივანე ჯავახიშვილი ამ ფენომენს განაზოგადებს და კავშირს პოულობს ოდ-

ინდელ ტომობრივსა და საყოველთაო ღვთაებებთან.

ქართული მართლმადიდებლობის ამ მხარეს, ამ ბოლომდე აუხსნელ გარეგნულ, შეიძლება ითქვას, ხალხურ წესებს, რა თქმა უნდა, არა აქვს კავშირი ეკლესიის წიაღთან. მართლმადიდებლობას ყოველთვის გააჩნდა ძლიერი ინსტიტუციები როგორც სახელმწიფოსთან მიმართებაში, ასევე, დამოუკიდებლადაც. რელიგიის გავრცელების პირველ ეტაპზე ჩამოყალიბებული საეპისკოპოსოები შემდგომში კათოლიკოს-პატრიარქის ინსტიტუტმა გააერთიანა. ისტორიული განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ქრისტიანობა კრავდა და ერთიანი კულტურულ- ეროვნული იდეის ქვეშ აერთიანებდა საქართველოს მხარეებსა და კუთხეებს, გამსჭვალავდა უმნიშვნელოვანეს საგანმანათლებლო და სახელოვნებო პროცესებს. ცნობილია რამდენიმე საკვანძო ფუნქციის მატარებელი ინსტიტუტი: მაგ., მწიგნობართუხუცესისა, რომელიც იყო უპირველესი ვეზირი სახელმწიფოში და რომელსაც ჭყონდიდელი მთავარეპისკოპოსი ასრულებდა; ასევე, მოძღვართ-მოძღვრისა, რომელიც სწავლა-განათლებისა და მწერლობის საქმეს უძღვებოდა და დიდხარისხოვან ბერმონაზონთა ოთხეულში მას წამყვანი ადგილი ეჭირა.

არა მხოლოდ აღმატებული ხარისხის სამღვდელო პირნი, არამედ ჩვეულებრივი ბერ-მონაზონნიც კი მეფეთა და ხელისუფალთა კრძალვას იმსახურებდნენ და ხელეწიფებოდათ მათი პირადი მორალური არჩევანიც კი შეეცვალათ. საყოველთაოდ ცნობილია, როგორ წაჰგვარა მეფეს წმიდა მამა გრიგოლმა სასახლეში "გარდარეული სიყვარულის" გამო მიყვანილი სიძვის დიაცი და საწყალობელ დღეში ჩავარდნილ ხელისუფალს სიკვდილი ანატრებინა: "ნეტარ მას კაცსა, ვინ ცოცხალი არღა არს". ასევე, არ დართეს ნება ჭაბუკ მეფე ლაშა გიორგის ქრისტიანული მორალის საწინააღმდეგოდ მოქცეულიყო და საყვარელი (თავის ქვეშევრდომზე გათხოვილი) ქალი ცოლად შეერთო... ამგვარი უფლე-ბანი კი წმინდა მამებს, როგორც ღვთის ნების მატარებელთ, თვით მეფეთაგან ჰქონდათ მინიჭებული. დოქტორ კონრად ლიუბეკს თავის ნაშრომში მოჰყავს თამარ მეფის მიმართვა სასულიერო პირებისადმი, რომლის ერთი ნაწილი დაახლოებით ასეთი შინაარსისაა: "თქვენი არს სიტყვა და ჩემი არს საქმე, თქვენი–მოძღვრება და ჩემი –აღსრულება, თქვენი– სწავლება და ჩემი–სასჯელი. გავერთიანდეთ წმინდა წესების დასაცავად..."

"სასყიდელი ცათა შინა"

საქართველოში ბერ-მონაზვნები და მარტვილნი მიწყივ გამორჩეული პატივითა და ღირსებით იყვნენ შემოსილნი, მაგრამ ისტორიული განსაცდელების ჟამს ჩვეულებრივი ერისკაცებიც მოულოდნელ და შეუდარებელ მოწამეობის უნარსა და გმირობას ავლენდნენ. ქრისტეს სჯულის ერთგულებისათვის ადამიანები უყოყმანოდ ეგებებოდნენ სატანჯველსა და სიკვდილს, იმ იმედით, რომ ასეთი აღსასრული არა მხოლოდ სასუფეველს დაუმკვიდრებდა, არამედ მათ თანამედროვესა თუ მომდევნო თაობებს ყოფას გაუადვილებდა. მათი სულიერი განვითარება და რიტუალური სიკვდილი იქნებოდა ის მსხვერპლი, რომელიც სხვათაც გადაარჩენდა და, რისთვისაც "დიდი არს სასყიდელი ცათა შინა."– "რომ ჩემს შემდგომად მომძესა ჩემსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს". ალბათ, ეს გახლავთ ქართული მოწამეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი. ასე უდრეკად წარდგა სასიკვდილოდ მონღოლთა წინაშე მეფე დემეტრე თავდადებული, მოყვასთა გადასარჩენად გაეშურა მეომარი და არისტოკრატი ცოტნე დადიანი, თითქოს უბრალოდ მოაკვლევინა თავი მტერს ბერმა თევდორემ, შალვა ახალციხელმა, მრავალმა მეფემ, უფლისწულმა თუ მდაბიომ. ძნელია, რომელიმე ქვეყნის ისტორიაში ანალოგი მოუძებნო ასი ათასი დიდმოწამის (ჩვეულებრივი მოქალაქეების) სიკვდილს, რომელთაც დაუნდობელმა ჯალალედინმა იმიტომ წარჰკვეთა თავები, რომ ყოველმა მათგანმა სათითაოდ უარი თქვა წმინდა ხატებისათვის ფეხი დაებიჯებინა. განა არ იყო ამ ქმედებაში უდიდესი სასოება, რომ მათი განწირული სულისკვეთება ცუდად არ ჩაივლიდა?!

საყოველთაოდ ცნობილია მოსაზრება, რომ აღმოსავლელ ქრისტიანთა, მათ შორის ქართველთა თავგანწირვამ იხსნა ევროპა მრავალთა ურჯულოთაგან. ზემოთ ნახსენები დოქტორი ლიუბეკი 1918 წელს წერდა: "მართლაც დიდებული და უკვდავი ძეგლი აიგო საქართველომ საკუთარი რწმენისადმი ურყევი ერთგულებით. მისი ხალხი ქრისტესათვის თავდადებული და წამებული ერი გახდა, რომლის მსხვერპლშეწირვა და სიმტკიცე დღესაც სრულ გაოცებასა და აღფრთოვანებას იმსახურებს."

მართლმადიდებელი ქრისტიანობა არა მხოლოდ სულიერების, არამედ ქართული კულტურის ერთ-ერთი უმთავრესი ავტორთაგანია. ძნელია უპასუხო კითხვას, გააგრძელებს თუ არა იგი ამ თანაავტორობას XXI საუკუნეში. ერთი კია, როგორც სხვანიც, ეს საუკუნეც კატასტროფებისა და განსაცდელების საუკუნეა. "ღუზა ხომალდს ქარიშხლის დროს სჭირდება. რწმენა კი – ადამიანს უბედურებების დროს. სადაც არ არის სარწმუნოება, იქ არ არის კეთილი საქმეები". (ნეტარი ავგუსტინე).

მარინა ყიფშიძე

,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამა,, ზემო ხანდაკში

* დასასრული.

თავისუფალი დროის გამოყენებისა და ვარჯიშის საშუალება მიეცათ. სოფელ ჭყოპიანში დაწყებულია სასმელი წყლის სათავე-ნაგებობის მოწყობა, რის შემდეგაც დაიდგმება საუბნო ონკანები.

საქართველოს მთავრობის განკარგულებით, 2013 წელს კასპის მუნიციპალიტეტს სოფლის პრობლემების მოგვარებისათვის 950 847 ლარი გამოეყო, რომელიც 17 საკრებულოს 72 სოფელზე გადანაწილდა. ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამა'' ადგილებზე განხორციელებული პროექტებით გვეხმარება მოსახლეობის პრობლემების მოგვარებაში - აღნიშნა კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა გოჩა გოჩიტაშვილმა.

დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.

ქველმოქმედება

მადლიერების ნიშნად

კასპი უძველესი სახელია და საქართველოს ისტორიაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა თავისი "კაისპით" თუ "კარის-სპით" ...

გვინდა თქვენი გაზეთის ფურცლებიდან ჩვენი ღრმა პატივისცემა დავუდასტუროთ და მადლობა ვუთხრათ საქართველოს პატრიოტსა და ღირსეულ მამულიშვილს, საპატიო კასპელ კაცს – ბატონ უშანგი მოსიაშვილს იმ ღვაწლისათვის, რომელსაც ის ეწევა თავისი საქმიანობის სხვადასხვა სფეროში.

ბატონ უშანგი მოსიაშვილის სპონსორობით გამოიცა მხატვარ-პუბლიცისტის ნიკო ხერკელაძის სქელტანიანი ბრწყინვალე წიგნი "ცრემლში ნალესი ხმალი", რომელიც გიორგი სააკაძეს მიეძღვნა.

საქართველოს ყველა კუთხეში ჰყავს ბატონ უშანგის მეგობრები – კულტურისა და ხელოვნების წარმომადგენლები, მეცნიერები, ბიზნესმენები, დღენიადაგ აკეთებს ქართულ საქმეს და შეუძლია თქვას: "დავბადებულვარ, რომ ვიყო მონა და საქართველოს მედგას უღელი!"...

ის ამ უღელში შებმული უღალატო, გამძლე და გამტანი კაცია!

გაღლეგრძელოთ, ბატონო უშანგი, ყველა კეთილ საქმეში მოგემართოთ ხელი.

მერაბ ბალაშვილი, გაზეთ "ახალგორის" რედაქტორი, წეროვანის დევნილთა დასახლება.

მარიამ და ალიკანდრეს ჯამბაყურ-ორბელიანების ცხცხლოე-მუზეუმი მდებარეობს ლოთელი ლომინყანაში, მდებარე კნის მარჯვენა ნაპირზე, ანყიყური ხანის ნამოცხლარზე.

ცხცხლოე წარმოადგენს ყომპლიკურ ნაგებობას, რომლის შემადგენლობაშიც შედის: ცხე-გალოვანი, ცხცხლოე, მარნი და ცვა ცამეურნეო ნაგებობანი.

სპორტი

მოსწავლეთა სპარტაკიადა 2013-2014 წელი

დასასრული

საპრიზო ადგილები გადანაწილდა შემდეგნაირად: პირველი ადგილი – სასირეთის საჯარო სკოლა, სპორტის მასწავლებელი ნიკო მაზმიშვილი, დირექტორი ნანი ბარნაბიშვილი, მეორე ადგილი – ზემო ხანდაკის საჯარო სკოლა, სპორტის მასწავლებელი მერი ბერიანიძე, დირექტორი დავით გორგაძე, მესამე ადგილი – კასპის მესამე საჯარო სკოლა, სპორტის მასწავლებელი არსენ სამხარაძე, დირექტორი მარინე ქონიაშვილი.

სპარტაკიადა გრძელდება, 7 –14 ნოემბერს ჩატარდება ფრენბურთი ვაჟთა შორის.

გოდერძი მარიდაშვილი.

შეუცნობელი

მოყლოლნელია თუ ვყხცნელია?

ალბომიანი ციცოცხლის განმავლობაში მრავალი ყცნაყრი, მოყლოლნელია თუ ვყხცნელია მოვლენის მონაწილე ხდება. ყმიდის შემთხვევაში ანრ ვიცით, ვის გავუზიაროთ ნახახი, ალბათ იმის შიშით, რომ შეიძლება ანრაცნობილი გაგვიგონ.

თუ ყოველთხრით მომცნარი ვყხცნელია, ყცნაყრი, შეყცნობელია მოვლენიცა შეგიძლიათ მოგვწოლოთ ამ მოვლენის ამცხველია მაცხალა. მისი გაცნობიცა და შეცნავლის შემდეგ თუ იგი ცაინტერესებთ იკნებ გაზეთის მეთხველთაცთვის, გამოკვეყნდება გაზეთში რუბრიკით "შეყცნობელია". ცაკითხების შემთხვევაში შეგიძლია თკვენ მიერ შემოთავაზებული წერილი გალავცეთ ფურნალ "ფენომენს" და შეცნობამისა ვყოფილი გაიცნოს ეკლესიერთა შეთანხმებებსა თუ ყომენტარებს.

თამთა მოსიაშვილს და გიორგი მერებაშვილს ვულოცავ ოქროს დაბადების დღეს. საყვარელო თამთა და გიორგი, სიკეთე, ნარმატება, ბედნიერება და ილბალი არ მოკლებოდეს თქვენს ცხოვრებას.

მრავალი დაბადების დღე მომელოცოს, უფალი იყოს თქვენი შემწე და მფარველი. *ნანი ბებო.*



ჩვენს ერთგულ, მოსიყვარულე, ალალ და გულითად მეგობარს გოგიტა მოსიაშვილს ვულოცავთ ნახევარსაუკუნოვან იუბილეს.

ძვირფასო გოგიტა, გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ ნარჩინებულ, ილბლიან, ბედნიერ ცხოვრებას შენს მშობლებთან, ოჯახთან, მონაგართან ერთად,

ჩვენს დიდ სამეგობროსაც ვუსურვებთ ყოველთვის გვეგულებოდე მოსიყვარულე და გვერდში მდგომი. მადლობა შენს მშობლებს შენი გაზრდისათვის, ჩვენ შენ მართლა გამორჩეულად გვიყვარხარ. ამიტომ გვინდა დარჩე ისეთი, როგორიც ხარ. *მეგობრები.*

გილოცავთ!

ჩემს ძვირფას მასწავლებელს, მარინა მენაბდიშვილს ვულოცავ დაბადების დღეს!

მარინა მასწავლებელო, მინდა იყოთ ჯანმრთელი, ბედნიერი, საკადრისად ნარჩინებული და შესაფერისად დაფასებული. კარგი მასწავლებელი გაცილებით მეტია, ვიდრე კარგი ინჟინერი, დირექტორი, გნებავთ ექიმი... თქვენი ნასწავლი ადამიანობის გაკვეთილები ცხოვრების თანამდევი ყოფილა, დიდი მადლობა ღირსეული ათვლის წერტილისთვის ცხოვრებაში, დიდი მადლობა უანგარო ზრუნვისა და თანადგომისათვის, დიდი მადლობა რომ მეგულებით მეგობრად და მარადიულ მასწავლებლად.

დაბადების დღეს გილოცავთ!

გიორგი მერებაშვილი.

"ყიხურა" გილოცავთ გიორგობას!

რედაქციაში შემოსული წერილები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ

გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „ქოლორში„

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
სტატიის ავტორის აზრი, შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის აზრს. მოტანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
სარეკლამო მასალებისა და განცხადებების შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აგებს.
რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება.

რედაქტორი ნანა მერებაშვილი

რედაქციის მისამართი: 2600 ქ ქასპი სააკაძის ქ. № 68
ტელეფონი 22-25-76